ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 190

კვირა, 14 სექტემბერი, 1897 წ.

1877—1897

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 190

კვირა, 14 სექტემბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 17 სექტემბერს,

ქართულ დრამატიულ არტისტ. წარმოდგენილი იქმნება:

„ვაის გაეყარე ვუის შეეყარე“

კომ. 3 მოქ., გადმ. ვალ. გუნიას-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, საყვარელიძისა, ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი და ადამიძე.

დასასრულ

**დივერტისმენტი**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნი განდეგილი, თავ. გრ. აბაშიძე, ბ-ნნი არ. ახნაზაროვი და ადამიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

(4—უ.—3)

**100 მანათად**

ხავერდის ახალი ცალმა მანდილოსნისათვის

ტალმას წავის ბეწვის საყელო აქვს და ბეწვისავე სარჩული.

მყიდველთ მიჰმართონ: ნორაშენის ქუჩაზედ, სახლი მელიქ-ნუბაროვისა (ნორაშენის ეკკლესიის პირდაპირ, მე-5 ნაწილში). (5—უ.—1)

**5 მანათად**

თვეში **გამოცდილი მასწავლებელი** ამზადებს ბავშვებს პირველ კლასისათვის. მოლაპარაკება შეიძლება 3—6 საათამდე. მიხეილის ქუჩაზედ, სომხის ეკკლესიის ეზოში, ზემო სართული, ვარანცოვის ძეგლის ახლო. (6—176—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** —დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. ბუდინოვი.** 6—7 საათ· შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან.

კრედიტის გასაადვილებლად და დამფასებელთა მისვლა-მოსვლისათვის საჭირო ხარჯის შესამცირებლად საზოგადოების მმართველობამ ამ შემოდგომიდგან მიიღო წესად: ჰგზავნოს ხოლმე სოფლებში აგენტები დასათვალიერებლად და დასაფასებლად ქირნახულისა, როცა რომელიმე მაზრიდგან საკმაოდ მოგროვდება სესხის მსურველთა თხოვნა.

ამის გამო მმართველობა მოიწვევს საზოგადოების წევრთ, რომელთაც ფულის გატანა ჰსურთ, დაეჩქარონ და დროზედ გამოგზავნონ თავიანთი განცხადება.

**საზოგადოება ახდევინებს:**

| | |
|---|---|
| ნაქირნახულევის გირაოთი გატანილ ფულში | 9% |
| თამასუქით გაცემულ ფულში | $9^1/_2$% |

**თვითონ-კი აძლევს სარგებელს:**

| | |
|---|---|
| მიმდინარე ანგარიშით შემოტანილ ფულში | $2^1/_2$% |
| ექვსის თვის ვადით შემოტანილ ფულში | 4% |
| ერთის წლის ვადით შემოტანილ ფულში | $5^1/_2$% |

(5—ნ.—1).

**ვკისრულობ**

ხელთნაწერების გამოცემასა (ბეჭდვას) ავტორთა და მათ პატივისმცემელთა ხარჯით.

**ადრესი:** ტფილისი, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს.

(3—167—2)

ტფილისი, 13 სექტემბერი

ამიერ-კავკასია დასახლებულია მრავალ გვარ თესლის მკვიდრთაგან. ერთის თესლის მკვიდრი განირჩევა მეორისაგან ყოველის ფრით, რაც ადამიანის შინაგანს და გარეგანს კუთვნილებას შეადგენს, მისს ვინაობას სულიერად და ხორციელად. იგინი განირჩევიან ზნითა, ჩვეულებითა, ხასიათითა, მიდრეკილებითა, რჯულითა, საადამიანო და საოჯახო ანდერძითა, საეკონომიო, სამეურნეო აგებულებითა და იმ მრეწველობითაც, რომლითაც თავს ირჩენს აქაური მკვიდრი და რომელიც შედეგია ჰავისა და მიწის საოცარ სხვა-და-სხვაობისა.

ამიტომაც ავაზაკობის მიზეზთა ახსნისათვის ბევრს რასმეს სახელმძღვანელოს შევიძენდით, რომ გამორკვეულ ყოფილიყოს ვინაობა ავაზაკისა იმ მხრით თუ,—რა თესლისა და რა ადგილის კაცია. ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ ყოველ ამისათვის უღონონი ვართ, რადგანაც ამ მხრით გამოძიებული და გამორკვეული არა არის-რა ჩვენში და ჩვენ მარტო ის-ღა დაგვრჩენია, აზრით მივაგნოთ მიზეზსა, ისიც სავინაკობოოდ, იმ თითო-ოროლა ცნობების შემწეობით, რომელთაც აქა-იქ კაცი ყურს მოჰკრავს შემთხვევით.

იმ ავაზაკთა სახელ-წოდებას და გვარებს რომ დავაკვირდეთ, რომელნიც ასე თუ ისე საზოგადოების ყურამდე არიან მოსულნი, დავინახავთ, რომ ჩვენში ავაზაკობენ ბევრ წილად ოსები და თათრები. ეს ორის თესლის ხალხი მომეტებულს, თუ არ მთელს, ნაწილს ავაზაკებისას იძლევა. ძნელად შეხვდებით და ძალიან იშვიათად ყაჩაღად გავარდნილს ქართველს, ან სომეხს. რა აიძულებს ოსებს და თათრებს ამისთანა ავ-კაცურ ხელობისათვის, როგორც იარაღით ხელში დახვედრა და ძარცვაა და ზოგჯერ ამისათვის კაცის-კვლაც? ნუ თუ იგი ზნე-ჩვეულება, რომელიც ტაცებას სხვის ქონებისას ჲ თუნდ კაცის კვლასაც ცოდვად არა სთვლის? ნუ თუ იარაღით ხელში ტაცება სხვის ქონებისა და კაცის-კვლა ან ოსს, ან თათარს სასახელო ვაჟკაცობად მიაჩნია და იმიტომ ხელსა ჰკიდებს ავაზაკობას?

მართალია, ბევრნი არიან იმისთანა ბრძენნიც, რომელნიც ამისთანა სასაცილო საბუთებით თავიდამ იშორებენ ამ მწვავის საქმის ვითარებას და ამ საბუთებზე ფეხ მოკეცილნი სხედან, მაგრამ ეს ასე არ არის. ბუნება ადამიანისა არც ისეა წამხდარი, რომ ქურდობა, ძარცვა და ნამეტნავად კაცის-კვლა ესიამოვნებოდეს, ეხალისებოდეს და ყოველივე ეს სამარცხვინოდ არ მიაჩნდეს, როგორც შინ, ისეც გარედ. ეს-კია შესაძლო, რომ ამისთანა სამარცხვინო საქმე ერთს უფრო ეადვილება, ვიდრე მეორეს, მაგრამ რომ ამას ტაში ქებისა დაჰკრას თვით იმ წრემ, საიდამაც ავაზაკი გამოდის, არა გვგონია, ჰკუათა მყოფელ კაცისაგან დასაჯერი იყოს. თუ ეს ასეა, მაშ რა ხელი უნდა ჰქონდეს ავაზაკობაში ვაჟკაცობის სახელის მოპოების სურვილსა? სახელი სხვა რა არის, თუ არ ქების ხმა ერისა, და ავაზაკმა, სხვის ქონების მტაცებელმა საღ ჲ ვისგან უნდა მოიპოვოს სახელი და ან რად უნდა ეგ სახელი, რომლის წყალობითაც მელა-ტურასავით ტყეში უნდა ემალებოდეს ყოველს კაცსა და მეზობელს? ან სად და რა ზნე-ჩვეულებაში უნდა იბადებოდეს და ინასკვებოდეს ეგ წყურვილი ვაჟკაცობისა? ვის რად უნდა, რის მაქნისია თავის თავად?

ავ-კაცობა, მიმართული სხვის ქონების მოსატაცებლად, ყოველგან და ყოვლისაგან ცოდვად და სამარცხვინოდ არის მიჩნეული. იმისთანა გარეულ და ველურ ხალხსაცკი ძნელად სადმე გვიჩვენებთ, რომ მაგ სამარცხვინო ხელობას ქება-დიდებით ახალისებდეს, და რაღა ოსები და თათრები არიან ამისთანანი? ვის რა საბუთი აქვს ამ ნაირ დასკვნისათვის?

თათრებზე ამბობენ, ვითომც რჯული და ფანატიკობა აქეზებდეს ავაზაკობისათვის. ეს ისეთი სასაცილო ზღაპარია, რომ სიტყვის შებრუნების ღირსიც არ არის. სხვა რომ არა ვთქვათ რა, განა ერთი და ორი მაგალითია, რომ თათარი ავაზაკი თვით თათარსვე ერჩის, სძარცვავს და ზოგჯერ ჰკლავს კიდეც. აქ რჯული და ფანატიკობა რა შუაშია? თუ ქრისტიანს ემტერება თათარი, თავისიანს რატომ აღარ ინდობს და რად იმეტებს?

ზოგი აქაურს ავაზაკობას აბრალებს იმას, რომ აქაურები ვითომ აზიის ხალხია და აზიელნი ხომ სისხლის მღვრელნი და სისხლის მსმელნი არიან, თითქო მართლა სისხლის ღვრა და სისხლის-სმა აზიელთა თან-დაყოლილი თვისება იყოს. ჩვენ არც ამ სასაცილო სიბრძნეს მივაქცევთ ყურადღებას და სიტყვა-შეუბრუნებლად ვტოვებთ. ამას-კი ვიტყვით, რომ სხვის ქონების ტაციობა და ნამეტნავად კაცის-კვლა იმოდენად წინააღმდეგია ადამიანის ბუნებისა, ევროპიელი იქმნება, თუ აზიელი, რომ თუ არ უძლეველი ძალ-მომრეობა გარემოებისა, სხვა რამ ძნელად თუ გააბედვინებს კაცს ხელი მიჰყოს ავაზაკობის ხელობასა. აქ საქმე იმაშია,—რამოდენად ძლიერია ზედ-მომქმედი გარემოება და რამოდენად მაგარი ხასიათი შეხვდა, რომ ამ გარემოების ძალ-მომრეობას გაუძლოს და არ წაელებინოს.

ამ მხრით რომ გავსინჯოთ ოსებისა და თათრების ზნეობრივი და ქონებრივი ავ-კარგიანობა და თან შევუწონოთ გარემოებანი ბინადრობისა, ცხოვრებისა და ეკონომიურ მეტნაკლებობისა, ბევრს რასმე საყურადღებოს შევნიშნავთ. მაგალითებრ, ოსი ბეჯითი და გამრჯელია, თუ თავისის თავისათვის ირჯება და ადგილმამული ხელს უწყობს იმუშავოს, აკეთოს რამე და თავი ისე ირჩინოს. თუ ყოველ ამას მოკლებულია, ადვილად საშოვარს ადვილად ეძლევინება, რადგანაც ცუღლუტია, სუსტის ხასიათისაა და ძნელად უძლებს მაცდურებას, თუ სადმე ადვილად ასაღები და ჯიბეში ჩასადები რამ შეიგულა. იგი უფრო წვრილ ქურდბაცაცობას მისდევს, ვიდრე დიდ შარა-გზაზე ძარცვა-ტაცებასა, რადგანაც ბუნებითად მხდალია და გულ და გულ დახვედრას და შეტევით გაძარცვას ძნელად თუ გაჰბედავს. ქონების შესახები დანაშაულობა რომ გავუსინჯოთ ოსს, დავინახავთ, რომ იგი უფროს-ერთში ხბოს, ძროხის და ერთობ საკლავის მოპარვით იწყება და თავდება.

ყოველ ამასთან ოსი წიწლაკიანია, მალე ჰფიცხდება და შეგულიანდება ხოლმე და თუ მთვრალია, მაშინ გამბედავიც არის თავის დავიწყებამდე. თუ ოსი სათარეშოდ წავიდა გულ-და-გულ ვისიმე დასახვედრად, არა გვგონია ისე წავიდეს, რომ არაყით, ან ღვინით არ შეფიცხდეს, არ შეგულიანდეს. ვაჟკაცობა ოსისა, ნამეტნავად საქართველოს ოსისა, არსად ცნობილი არ არის, მაგრამ თუ ყაჩაღად გავარდა და პირდაპირი ავაზაკობა დაიწყო, მეტის-მეტი გაბედულია, თავზე ხელ-აღებული ჲ მოურიდებლად კადნიერი. თითქო იცის, რომ იგი ანდერძ აგებულია, დღეს თუ ხვალე სადმე თავი უნდა შეაკლას, სადმე უნდა ტყვიამ მდევრისამ იპოვოს, ან დაიჭირონ, გადაჰკარგონ და ამიტომ თვისი სიცოცხლე თითქო წინადვე გულიდამ ამოღებული აქვს და მინამ პირში სული უდგას, არაფერს ერიდება, ოღონდ, მინამ ცოცხალია, თავი იკვებოს უშრომოდ და გაურჯელად, ილხინოს და თავისუფლობდეს.

საქართველოს და ერთობ ამიერკავკასიის ოსი, თუმცა სახელით მართლ-მადიდებელია, მაგრამ რჯულისა და სარწმუნოებისა არა იცისრა და არც არავითარი ღონისძიებაა მიღებული, რომ იცოდინოს რამ. თითქმის ერთი სოფელი არ არის ოსისა, ბარელისა თუ მთიელისა, რომ სკოლა ჰქონდეს. არა გვგონია, სოფლის მკვიდრთა შორის თუნდ ერთი ოსი მოიპოვებოდეს, რომ იცოდეს წერა-კითხვა. მიუხედავად ყოველ ამისა, გრძნობა საკუთარის ღირსებისა ოსს იმოდენად დახშული არა აქვს, რომ არ იწყინოს ქურდად და ავაზაკად ხსენება. ოსსაც ისე ეთაკილება ეს სამარცხვინო სახელები, როგორც სხვას, უფრო უკეთესს მდგომარეობაში მყოფს. აგრეავად ხსენება ოსსაც იმოდენად შეაგულიანებს ხოლმე, რომ ხშირად ხელსაც გამოაღებინებს შემგინებელის სამტროდ. ამისი მაგალითი ბევრია.

აი მოკლედ ჩამოთვლილი ზნეობური ავლა-დიდება ოსისა, რომელიც წინ უნდა დაუდგეს ზედ-მოსეულს გარემოებას ცხოვრებისას და არსებობისას, ხშირად ცალკე ღონისათვის უძლეველს და სუსტ ზნეობის კაცის ავ-კაცად გარდამქნელს. მართალია, ესეთი ზნეობური ავლადიდება დიდი ციხე-სიმაგრე არ არის, რომ კაცმა გაუძლოს ძალ-მომრეობას განსაცდელისას და პატიოსანი უქონლობა ირჩიოს უპატიოსნო ქონებასა, მაგრამ არც ისეთი უღონოა, რომ თუ არ დიდმა რამ განსაცდელმა, სხვამ, მცირე რამე მიზეზმა ადვილად აიძულოს კაცი საავკაცოდ და საავაზაკოდ. ამაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ.

## მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი,

დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ბოგუცკი—გარშავის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსად.

დანიშნულ იქმნენ შტატს გარეშე მეოფი ენისეის საგუბერნიო სასამართლოს თავმჯდომარე, სტატსკი სოვეტნიკი დიატროპტოვი—ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს ამხანაგად; შროსკუროვის ოლქის მომრიგებელი მოსამართლე ზაიკინი—ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრად.

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო ტიტულიარნი სოვეტნიკობა: ტფილისის პირველი სამოსამართლო განყოფილების მდივანს სარაჯიშვილს, სენაკის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს თანაშემწეს მოსიძეს. კოლეჟსკი სეკრეტრობა: ტფილისის სამაზრო სამოსამართლო განყოფილების მდივანს ისაკაძეს; ცხინვალის სამოსამართლო ნაწილის მდივნის თანაშემწეს უზნაძეს. გუბერნსკი სეკრეტრობა: ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელეს ციციშვილს. კოლეჟსკი რეგისტრატორობა—ტფილისის მეორე სამოსამართლო განყოფილების მდივნის თანაშემწეს გაბუნიას.

გამწესებულ იქმნა: მღვდლის შვილი ილარიონ თხილაიშვილი—ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-VI ხარისხის მოხელედ.

დანიშნულ იქმნენ: ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელენი: ტფილისისა, კოლეჟსკი ასესორები: იესე ბადრიშვილი, ალექსანდრე კვერკველაძე, კოლეჟსკი სეკრეტრები: ნიკოლოზ ორჯონიკიძე და დუშეთისა—სილოვან ქვანია—ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებად პირველი მე-II ხარისხისა, მეორე—მე-IV ხარისხისა და მესამე—მე-V ხარისხისა, ხოლო მეოთხე მომატებულ ჟამაგირიანს ადგილზედ; გუდაუთის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ზედამხედველი კასიღ კვირიკაშვილი—გუდაუთის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

გადაყვანილ იქმნენ: ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-VI ხარისხის მოხელე კასიღ ხარებაშვილი—სურამის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მოხელედ; გუმბრის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-VI ხარისხის მოხელე, კოლეჟსკი რეგისტრატორი დავით ჯავახიშვილი—ერევნის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელედ; გუდაუთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი ალექსანდრე მაჭავარიანი—ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

# ახალი ამბავი

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ბ-ნს ერმოლოვს ამ ახლო-ხანებში ბათუმში მიელიან თურმე, სადაც იგი ჩაკვის ჩაის პლანტაციების დასათვალიერებლად მიდის.

*** 16 სექტემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, კავკასიის სამკურნალო საზოგადოებაში იქნება პირველი მორიგი კრება. კრებაზედ დასწრება არა წევრთაც შეუძლიანთ. სამკურნალო საზოგადოება იმყოფება საპიორთა ქუჩაზედ, ისარლოვის სახლში.

*** 13 ივლისიდგან 8 სექტემბრამდე ქ. ტფილისში საქონლის ჭირით ავად გამხდარა 188 სხვილ-ფეხი საქონელი. ამ რიცხვში 109 მომკვდარა, 61 მორჩენილა და 18 ისევ ავადმყოფია.

*** საცდელად ქალაქის გამგეობამ 12 სექტემბერს ექვსი სხვილ-ფეხი საქონელი დაჰკლა, რომელშიაც 125 მან. მისცა. დაკლულ საქონლიდგან 1581 გირვანქა ხორცი დადგა. ხარჯს გარდა, მაშასადამე, გირვანქა ხორცი ყასბებს 6, 3 კაპ. უჯდებათ და ამიტომ გამგეობამ დაადგინა, ხორცის ნიხრს დააკლოს ერთი კაპ. და, 8 ს მაგივრად, 7 კაპ. დანიშნოს.

*** გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ 12 სექტემბერს ტფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ნახევარი მილიონი მანეთი იქმნას აღებული სესხად ახალის საყასბოს ასაშენებლად, სასურველად დაინახა და დაადგინა, ქალაქის თხოვნა ამ სესხის ნებართვის შესახებ გაუგზავნოს შინაგან საქმეთა მინისტრს დასამტკიცებლად.

ამას გარდა იმავე საკრებულომ გასინჯა ტფილისის მოქალაქეთა საჩივარი მოქალაქეთა დეპუტატების უკანონო არჩევანზედ, ეს საჩივარი კანონიერადა სცნო და ამორჩეული დეპუტატები არ დაამტკიცა.

*** ამ ბოლოს დროს ტფილისში, რაკი ბევრი ხორბალი ჩამოჰზიდეს, 70 კაპეიკიდგან ქერის ფასმა დაიწია 58—55 კაპეიკამდე. ფუთი ფქვილი იყიდება 1 მან.—1 მან. 20 კაპ., ხორბალი—1 მან.—1 მან. 10 კაპ.

*** 11 სექტემბერს, ქალაქის მიერ გამართულ სადილის შემდეგ უცხოქვეყნელს გეოლოგს ბ-ნს კრონს დაუჭერია ორი ეტლი, ერთში თითონ ჩამჯდარა და მეორეში სხვა-დასხვა ბარგი ჩაულაგებია ბაქოში წასასვლელად. მისულა თუ არა რკინის გზის სადგურთან და გადმოსულა ეტლიდგან, მეეტლეს ცხენები გაურეკია და იმისი „საკვოიაჟი“ ფულით, პასპორტით, ბანკის ფულის წიგნაკით და ბარგი გაუტაცნია. მეეტლეს პოლიცია დაეძებს. ბ-ნი კრონი-კი ტფილისშივე დარჩა, რადგანაც ფული აღარა აქვს, რომ წავიდეს სადმე.

*** ამას წინად უცხო ქვეყნელ გეოლოგთა დაათვალიერეს ნავთლუხის ნავთის წყაროები. ამ გეოლოგებს თავიანთი აზრი ამ წყაროების შესახებ გარდაუციათ ინჟენერ ბ-ნ სიმონოვიჩისათვის და უთხოვნიათ, გადასთარგმნეთ და ქალაქის გამგეობას გაუზიარეთო.

*** ოზურგეთიდგან იწერებიან, რომ იქ განზრახვა თურმე აქვთ ამხანაგობა შეადგინონ, რომელიც წიგნის მაღაზიას დააარსებს და წიგნებსა და ყოველგვარ საკანცელარიო ნივთებს იქონიებს გასასყიდად. მაღაზიიდგან წიგნებსა და საკანცელარიო ნივთებს მთელის მაზრის სკოლებს, წიგნთ-საცავებსა და სოფლის საზოგადოებათა კანცელარიებს რაც შეიძლება იაფად დაუთმობენ. მაღაზიასთანვე ექმნებათ გამართული წიგნების საკაზმავიც.

*** რადგანაც ქალაქის სამკურნალოს შენობის შეკეთებას შეუდგნენ, დღეს და ხვალ სამკურნალო დაკეტილი იქმნება.

*** 1895 წელს დიდის ზამთრიანობისა და წყალ-დიდობის გამო დაზარალებულ ოზურგეთლებისათვის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტს 1,395 მან. გადაუდვია. სულ ოზურგეთის მაზრაში 65,000 მანათის ზარალი მოსვლია ხალხს. დაზარალებულთაგან ვისაც 100 მან. ნაკლები ზარალი მოჰსვლია, არაფერს მიიღებს; დანარჩენნი ნაზარალევ მანათზედ 2 კ. საზღაურს აიღებენ. აღნიშნულს 1,395 მან. კომიტეტი სოფლის საზოგადოებათა მამასახლისებს გადასცემს და ესენი დაზარალებულთ დაურიგებენ.

*** გუშინ-წინ, 12 სექტემბერს, ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ განიხილა ქალაქის ბეითალად ნამყოფის ბ-ნის დედაბრიშვილის ვექილის გვაზავას საჩივარი იმის შესახებ, რომ ქალაქის საბჭომ დაადგინა, დედაბრიშვილის ბეითლობის დროს ქალაქის საყასბოში შენიშნული დაუდევრობა და საქმის შეუსრულებლობა დავიწყებას მიეცესო, და გარდასწყვიტა: აღნიშნული საჩივარი უყურადღებოდ იქმნას დატოვებული, როგორც უსაბუთო და უსაფუძვლო. როგორც უკვე მოეხსენებათ მკითხველებს, დედაბრიშვილის ვექილი იმასა თხოულობდა, რომ ქალაქის საბჭოს დადგენილება გაეუქმებინათ, რადგანაც საყასბოში აღმონაჩენს დაუდევრობაში ჩემს რწმუნებულს არავითარი ბრალი არ მიუძღვისო. ამისათვის დედაბრიშვილი ქალაქის საბჭომ უნდა გაამართლოსო.

*** ქ. დუშეთის წარმომადგენელთა კრებას ნება-რთვა მიუღია ფული აიღოს საყასბოზედ დაკლულ საქონელში, სახელდობრ: ყოველ სხვილ-ფეხა საქონლისა—40 კაპ., თხისა ცხვარისა და ღორისა—10 კაპ.; ხბოსი, ბატკანისა და გოჭის—5 კაპ.

*** აქამდის კიდევ იმედი ჰქონდა ყველას მოსავლისა, მაგრამ დღეს ყოველი იმედი გაგვიცრუვდა, რადგან თითქმის ყველგან ემდურებიან მოსავალს. გაზ. „კავკ. სელ. ხაზ“. სიტყვით წრევანდელი მოსავლიანობა შეაფერხა ერთ ადგილას გვალვამ, მეორეგან—სეტყვამ, ზოგან—მინდვრის თაგვმა, ქარმა და სხვ. გაზაფხულის ხშირმა წვიმამაც აზიანა, რადგან ბალახი ზღვად გასკდა და ხელი შეუშალა ყანის დასრულება-დამწიფებას.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ს გაუგონია, რომ მთავარ-მართებლის საბჭოს წევრს ბ-ნს იაკიმოვს და ტეხნიკოსს ნოვომეისკს ჰგზავნიან ქ. თელავშიო წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის შენობის დასათვალიერებლად.

*** გაზ. „ნოვ. ობოზრენიეს“ სწერენ სოფ. აბაშიდგან (ქუთაისის გუბერნიაში), რომ 11 სექტემბერს ს. ძიგურაში დილით აბაშის ბოქაულს თავ. აბაშიძეს ცნობილი ყაჩაღი სტეფანე ჯიქია მოუკლავს.

*** სოფ. კერტუბანი, (შორაპ. მაზრა). ამ დღეებში კინაღამ დიდი უბედურება არ დატრიალდა ჩვენს სოფელში. მღვდელს მელქისედეკ აბესაძეს, ხუთშაბათს, 4 სექტემბერს, შუაღამისას მიუცვივდნენ ყაჩაღები. სახლში მარტო მღვდელი დაჰხვდათ, ცოლ-შვილი სამშობლოში ჰყავდა გაგზავნილი, და მძინარეს დაადგნენ თურმე თავს ხანჯლებით. მღვდელს უცებ გამოჰღვიძებია და წამომხტარა, მაგრამ ყაჩაღებს შეუჩერებიათ, ხანჯლით დაუჭრიათ მკლავში და შეუტევიათ: „მოიტა რაც რამ გაბადიაო“. მღვდელი შეჰხვეწნია, ოღონდ ნუ მომკლავთ და რაც მაბადია, სულ წაიღეთო. ამ დროს თვალი მოუკრავს ერთის ყაჩაღისათვის, უცვნია და უფიქრნია, რომ ამას რაც უნდა მივცე, მაინც ცოცხალს არ გამიშვებსო. პატარა დრო ხელთ უგდია, მოუკრებია უკანასკნელია ძალა და აივნიდგან ძირს ეზოში გადამხტარა, გაქცეულა მეზობლებისას, დაუწყია ყვირილი და ხალხიც მოშველებიან. მეორე დღეს მამა მელქისედეკს გამოუცხადებია მამასახლისისათვის, რომ ეს და ეს ერია იმათშიო და ის მაშინვე დაუპატიმრებიათ. დანარჩენებმა-კი თავი შეაფარეს თურმე მახლობლად მდებარე სურამის მთას.

*** გუდაუთი. 28 მარიამობისთვეს სოფელ აჭანდარაში ძმათა ანჩაბაძეთ შეიპყრეს ცნობილი ყაჩაღი მამსირ აბრაგ-იფა (აბრაგის ძე) გაბისონია, რომელმაც ამას წინედ სოფელ ლიხნში დასჭრა გუდაუთის ნაწილის უფროსი ბ. პ. ჩიქოვანი და ორი ჩაფარი. ძმათა ანჩაბაძეთ გაბისონია შებოჭვილი დაახვედრეს დროებით გამგეს გუდაუთის ნაწილისას ბ-ნს სტაროსელსკის, რომელმაც მეორე დღესვე წაიყვანა ქ. სუხუმში. იმედია, დანარჩენ ყაჩაღებსაც ამ ცოტა ხანში ბოლოს მოუღებენ, რის შემდეგ გაც საზოგადოება თავისუფლად ამოისუნთქავს.

*** ქ. სოჭი. ოლქის უფროსის პ. დ. დუბოვიკისა და მკურნალის თაოსნობით გაიმართა აქ ბულვარი და პარკი ზღვის პირად 6 დესეტინის მანძილზედ. ამ სასიამოვნო საქმის დაგვირგვინებაში არაფერი მონაწილეობა არ მიუძღვის ქალაქის გამგეობას. ბ-ნი უფროსი გვპირდება ქართულ არტისტების მოყვანას და ქართულის წარმოდგენების გამართვას. თუ ეს დაპირებაც შეგვისრულა, დიდის მადლობის ღირსი იქმნება ჩვენგან.

*** რაჭა. წელს ჩვენშიაც კარგი მოსავალია, ღვინის გარდა. ღვინოს მხრივ ძალიან გვიმუხთლა ბედმა, ასე რომ, რომელს ოჯახსაც სამას-ოთხასი კასრი ღვინო მოსდიოდა, იმას მოუვა ათი კასრი, ისე გააფუჭა მილდიუმ, რადგანაც თავისს დროზედ ვერ უწამლეს.

*** ჩვენ მივიღეთ ანგარიში ბალისა, რომელიც გამართული იყო ტფილისის საკრებულოს დარბაზში ქართველთა დრამატიულ საზოგადოების დასასხმარებლად. ბილეთებისა და პრემიებისა შემოსულა 818 მ. 55 კაპ., ბუფეტიდგან—150 მ., სულ 968 მ. 55 კაპ. დახარჯულა ბუფეტსა და დეკორაციების მოსაწყობად 225 მ., სახლის ქირა—80 მ., მარკებისა—20 მ., აფიშების დასაბეჭდი, ბილეთებისა, წვრილებისა და სხვა წვრილმანი—43 მ., 8 კაპ., მუსიკისა 70 მ., მოსამსახურეთ—12 მ., 50 კაპ., საზანდარს—10 მ., სულ 460 მ. 58 კაპ. ხარჯს გარდა დარჩენილა 507 მ. 97 კაპ. „ქართულის დრამატიულის საზოგადოების“ გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის ბალის გამგეს უგან. კნ. ს. დ. გრუზინსკისას.

## ორი მკვლელობა ქ. ტფილისში.

გუშინ, შაბათს, 13 სექტემბერს, დილის ცხრა საათზედ, მეცხრე პოლიციის ნაწილში, მეორე თუმანოვის ქუჩაზედ, გაგლოშვილის სახლში ერთი ფრიად შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. აი გარემოება ამ საქმისა: მონათლულს მაჰმადიანს ფარაჯ-ბეგ კულიხანოვს ცოლად ჰყავდა რუსის ქალი ევდოკია ანდრიას ასული და სცხოვრობდნენ მარტყოფის ქუჩაზედ, სუხოვის სახლებში. აქ დასტოვა ცოლი და 14—15 წლის შვილობილი ვაჟი ფარაჯ-ბეგ ყულიხანოვმა და ბაქოში წავიდა თურმე. იგი ვექილობდა და არზებსა სწერდა. გუშინ დილით ბაქოდგან ჩამოვიდა და პირდაპირ მივიდა სახლში, მაგრამ ცოლ-შვილი იქ აღარ დაუხვდა. თურმე ერთის დღის წინად გადასულიყვნენ თუმანოვის მეორე ქუჩაზედ, გაგლოშვილის სახლში. ფარაჯ-ბეგი მარტყოფის ქუჩიდგანვე ეტლით მივიდა თავისის ცოლის მიერ ახლად დაჭერილს სახლში. შევიდა თუ არა სახლში და დაინახა თავისი ცოლი, ერთი-კი შესძახა თურმე: „შენ შენს ნებაზედ თრევა და სიარული არ დაიშალეო?!.“, ამოიღო ხანჯალი და რამდენსამე ადგილას ისე მძიმედ დასჭრა, რომ გულ ღვიძლი გადმოაყრევინა. ყმაწვილი ქალი აივანზედ დაეცა და სული დალია. ამ დროს მოვარდა მისი შვილობილი ვლადიმირი, რომ დედობილს მიშველებოდა. ფარაჯ-ბეგმა ამასაც დაჰკრა ხანჯალი რამდენგანმე და ისიც იქვე დაეცა სასიკვდილოდ დაჭრილი. შემდეგ გამოვარდა მეორე ოთახიდგან მოსე ბოლოტოვი, რომელიც იმათთან თავისის ხარჯით თვიურად სადილობდა და სცხოვრობდა და რომელსაც ფარაჯ-ბეგი თავისის ცოლის საყვარლობას სწამებდა თურმე, კედლიდგან ჩამოიღო ხანჯალი და დაუწყეს იმანა და ფარაჯ-ბეგმა ერთმანეთს ხანჯლით ჩეხვა. ფარაჯ-ბეგი დაიჭრა გულსა და უკანა ბეჭებში და იქვე დაეცა, მოსე ბოლოტოვმაკი, როგორც უფრო სუბუქადა, თუმცა მრავალგან დაჭრილმა, გარეთ გამოასწრო. სამივე დაჭრილები ფარაჯ-ბეგი, მისი შვილობილი ვლადიმირი და ბოლოტოვი პოლიციამ საავადმყოფოში გაჰგზავნა. ამათგან ფარაჯ-ბეგი გზაშივე გარდაიცვალა, ვლადიმირი გრძნობა-დაკარგულია და, ექიმების აზრით, არ გადარჩება თურმე სიკვდილს, ხოლო ბოლოტოვის მორჩენის იმედი-კი აქვთ.

გამომძიებელი და ბრალმდებელის ამხანაგი უკვე შეუდგნენ ამ საქმის გამოძიებას. როგორც ამბობენ, მიზეზი ფარაჯ-ბეგის გამძვინვარებისა ცოლის ცუდი ყოფა-ქცევა ყოფილა.

**

მეორე ამბავი მოხდა პარასკევს, 12 სექტემბერს, შუა-ბაზარში, ვაჭარ სარქისოვის დუქანში.

აი, ამ საქმის გარემოება. იგითხანოვის აბანოში მოსამსახურეს ალექსი ვართანოვს გასათხოვარი ქალიშვილი ჰყავდა თურმე, რომელსაცთან დასდევდა მისივე ძმისწული, ვაჭარ სარქისოვის ბუხგალტერი მიხეილ ვართანოვი. ბოლოს დროს ამ მიხეილსა და იმისს ბიძას რაღაცა უსიამოვნება მოუვიდათ და ერთმანეთს შემოსწყრნენ. ამ ერთის კვირის წინად მიხეილ ვართანოვი დაინიშნა კიდეც და დღე-დღეზედ ჯვარის წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას აპირებდა პარასკევს, ნაშუადღევის 3 საათზედ, ალექსი ვართანოვმა თავი დაანება თურმე აბანოს, მივიდა სარქისოვის დუქანში და აქ ხმა მაღალი ლაპარაკი და ჩხუბი დაუწყო თავისს ძმისწულს. ამ ჩხუბში ალექსი ვართანოვმა, ბიძამ, უცბად იძრო ხანჯალი და მარცხენა მხარეს, ნეკნებს ქვემოდგან დაჰკრა თავისს ძმისწულს მიხეილს. ჭრილობა გარედგან საშიში არ არის, მაგრამ ხანჯალს თირკმელის ძარღვები გადაეჭრა და იმდენი სისხლი წასქდა უცბად დაჭრილს, რომ მიხეილ ვართანოვმა იქვე სული განუტევა. მკვლელი მაშინვე დააპატიმრეს და გამომძიებელს გარდასცეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ინაშაური** (ქუთაისის მაზრა). ამ სოფლის სახელი ბევრს არ ექნებათ გაგონილი და არც ეცოდინებათ მისი არსებობა, თუმცა კი ეს სოფელი იმდენად უმნიშვნელო არ არის, რამდენადაც მაიწყებულია. ს. ინაშაური იმყოფება 26 ვერსის მანძილზედ ქ. ქუთაისიდგან, მდ. რიონის მარცხენა ნაპირას და ეკუთნის დ. ბაღდადის საბოქაულოს. იგი შემკობილია თავისის მდებარეობით, კარგის ჰაერით და ცავის წყაროებით. ოდესმე ეს ადგილი, რომელზედაც სოფელია გაშენებული, ჩამოშავებული მეწყერისა გამო და მას შემდეგ დარქმევია სოფელს სახელი „ის ნაშაური“, აქედგან შემოკლებული სახელი—„ინაშაური“. სიმინდი და ღვინო ამ სოფელში კარგი მოსავლის დროს ბლომად მოდიოდა, დღეს კი, როგორც საზოგადოდ ყველგან, აქაც მოკლებულია. აქაურ მკვიდრს კარგ საქმეს უშვრება დაფნის ტყეები, რომელსაც ხშირად შეხვდებით აქ. ყოველ მეორე წელიწადს ეს ტყეები მოიქნება და ფოთოლი იყიდება ფუთი ორ მანეთად. დ. სამტრედიიდგან და ქუთაისიდგან მოდიან ვაჭრები და მიაქვთ. დღემდე დაფნის ტყეებს არაფრად აგდებდნენ, შეუგავებელი ჰქონდათ და საქონელი აოხრებდა. დღეს კი, როდესაც გაიგეს გემო, მოაშენეს და ხელს უწყობენ.

ს. ინაშაური შესანიშნავია თავისის რკინისა და გოგირდის წყლებით. წყალი გამოდის კლდიდგან, ცივია. 6 ოთხ-კუთხი საჟენის სივრცეზედ შემოკლებულია ქვითკირით, რომელშიაც გუბდება წყალი ერთის არშინისა, ან მეტის სიმაღლეზედ და შიგ ბანაობენ. აბანო გადაუხურავია, რადგანაც უფრო მოსახდენია, როგორც არის გამოკვლეული. ზაფხულობით აქ სხვა-და სხვა ადგილებიდგან მოდიან ავადმყოფები, მაგრამ დიდხანს ვერ რჩებიან საბანაოდ. ამისი მიზეზი ის არის, რომ აბანო მოუწყობელია; როგორც მინდორში გაიკეთებს კაცი საბანელს, ისე მიგდებული და მიყრუებულია, სახლები არ იშოვება რიგიანი, რომ ავადმყოფი დაბინავდეს. ხორაგეულობა გასაყიდი არ არის მახლობლად. აბანო რამდენსამე მონაწილეს ეკუთვნის, ამისათვის ერთი მეორეს ყინით და წახედვით საქმე წამხდარია. ამ აბანოს ეძახიან სახელად „ჭოკიანი“; „ჭოკიანი“, როგორც გამოკვლეულია, უნდა იყოს გვარი, რომელსაც ოდესმე ეკუთვნოდა ადგილი, სადაც აბანო აღმოჩენილა; ან შეიძლება ამ ადგილის მეპატრონეს ჰქონოდა სახელი მეტსახელად „ჭოკია“, როგორც მაგ. „ლეკაია, ბიჭია, სეხნია და სხვანი და შემდეგ ამის გამო დარქმევია აბანოს „ჭოკიანი“ აბანო.

ს. ინაშაურში არის შესანიშნავი ძველად ნაშენი დიდი ციხე, რომელსაც ეწოდება სახელად „ფანდილოურის“ ციხე. როგორ დარქმევია ამ ციხეს ეს სახელი, ვის აუშენებია, ან რა თქმულებანი შენახულა იმის შესახებ, ამას შემდეგ მოგახსენებთ.

ვლადო ბზვანელი

## რუსეთი

—

სასულიერო უწყებაში აღძრულია საგანი იმის შესახებ, რომ საეპარქიო სამოსწავლო საბჭოებთან დაარსებულ იქმნას ცნობათა განყოფილება, რომელმაც უნდა განაგოს სამრევლო-საეკკლესიო და წერა-კითხვის სკოლების საქმეები.

— მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებასთან შესდგა ცალკე კომისია, რომელსაც აზრად აქვს კერძო ოჯახების არხივებისა და საბუთის ქაღალდების შესწავლას შეუდგეს.

— მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გადასწყვიტა დააარსოს დაბალ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებთან დამატებითი სახელოსნო კლასები.

— რადგანაც საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულოს წევრებად ისეთი კაცები არიან, რომელნიც უმეტესს ნაწილად სხვა რამ თანამდებობასაც ასრულებენ და ამის გამო დრო არ აქვთ, რომ ქალაქის საქმეების დაწვრილებით შესწავლასა და განხილვას თავი დაუდონ ხოლმე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიზრახა ასეთს საკრებულოებში დააარსოს უქმეველის წევრის თანამდებობა, რომელიც ვალდებული იქმნება შეისწავლოს და განიხილოს ხოლმე ყოველგვარი საქმე, რომელიც საკრებულოს მიუვა და შემდეგ თავისის მოხსენებით საზოგადო კრებას წარუდგინოს. სამინისტრო უკვე შესდგომია ამ საგნის შემუშავებას.

ამ შემოდგომაზედ გატჩინოში შინა ხელობისა და სასოფლო-სამეურნეო გამოფენა იქმნება გამართული. ამ გამოფენას პეტერგოფისა და ცარსკოე სელოს მაზრის სოფლის მეურნენი ჰმართავენ.

— ფოსტისა და ტელეგრაფის მთავარს სამმართველოს განზრახვა აქვს ამ 1898 წელს ყველა იმ ქალაქებში გაჰმართოს ტელეფონი, რომელიც-კი სურვილს განაცხადებს, რომ ამ საგნისათვის საჭირო ხარჯის ერთს ნაწილს იკისრებს.

— თუ რომ საარქეოლოგო ინსტიტუტი მომავალს წელს სახელმწიფო სასწავლებლად იქმნება გადაკეთებული და ახალს ცვლილებას შეიტანენ, მაშინ ინსტიტუტს სახელად საიმპერატორო ინსტიტუტი ეწოდება. ახალს ინსტიტუტში ნამდვილ სტუდენტებად მხოლოდ უმაღლესს სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი იქმნებიან მიღებულნი.

— საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ ქალაქისა და სხვა საზოგადო სამმართველოებს უფლება არა აქვთ სამრევლო სასწავლებლების მზრუნველებს ინსტრუქციები გაუგზავნონ ხოლმე, რადგანაც აღნიშნულის თანამდებობის მქონენი სამოსწავლო უწყებას ეკუთვნიან და არა საზოგადო სამმართველოების აღმასრულებელს ორგანოებსო.

— როგორც გზათა სამინისტროს სტატისტიკურის ცნობებიდგანა სჩანს, 1897 წლის ივლისამდის პეტერბურგში 32 მილიონი ფუთი პური მიუტანიათ. აქედგან მომეტებული ნაწილი რკინის გზის ლიანდაგით მისულა.

## უცხოეთი

—

**ოსმალეთი.** რაწამსაც ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის ზავი იქმნება დადებული, იმწამს ოსმალეთის ჯარს უკან გაიწვევენ და თესალია განთავისუფლდება ოსმალების მონობისაგან. მართალია, ამბობს გაზეთი „Franc. Ztg.“, ამ ბოლოს დროს ოსმალები გულით არიან მოწადინებულნი ზავის შეკვრას, მაგრამ შესაძლებელია, რომ ჯარმა ეგრე ადვილად არ დასთმოს სისხლის ღვრით აღებული თესალია და დაბრუნების შემდეგ ჯავრი სომხებზედ არ იყაროსო. ამიტომ პარიჟის ფრანგ-სომხეთა კომიტეტმა ამ დღეებში გაუგზავნა მინისტრ პრეზიდენტ მელინს ადრესი, რომელშიაც სთხოვენ, რომ სახელმწიფოთ ეხლავე იღონონ რამე ღონისძიება მოსალოდნელი უბედურებათა ასაცილებლად. ადრესში ნათქვამია, სხვათა შორის, რომ 1894 წლიდგან დაწყებული სომხების დევნა ჯერაც არ შეწყვეტილა და ზოგიერთი გარემოებანი აშკარასა ჰყოფს, რომ ოსმალებს მთლად სომხების ამოჟლეტა აქვთ აზრადაო. თუ ეხლავე არ იქმნა მიღებული შესაფერი ღონისძიება, იგივე განმეორდება, რაც 1895 წელს იყოო. ამ ადრესზედ 400 კაცს უწერია ხელი, რომელთ შორის ბევრი მსწავლულია, ვექილი, სენატორი, დეპუტატი, პუბლიცისტი მხატვარი და სხვანი. სხვათა შორის ასეთს შესანიშნავ კაცებსაც უწერიათ ხელი, როგორიც არიან ჰალევი, ლერუა-ბოლე, საბატიე, კარდინალი ლანჟენიე, ეპისკოპოზნი გუგონინი და ბელმონი, დეპუტატები ლემირი, გიუგი, შოლლი, მარკიზი დე-ვოგიუე, პარიჟის აკადემიის წევრი ვიკონტი, ე. ვოგიუე და სხვანი.

## დამაკვირდი

ძნელად რომ ვისმე მართალი უთხრათ და საწყენად არ დარჩეს.

სეგიური

* * *

სული ჩვენი მარტოობაში უფრო ადვილად აღფრთოვანდება, გული-კი სხვა გულთან შეერთებას ისწრაფის.

ემმერ

* * *

მოხუცება ადვილად ერიდება უზნეურ შემთხვევათ, სიჭაბუკე ადვილად იტანს.

შოპენჰაუერი

## სასამართლოს მატიანე

მევახშის იოსებ ქავთარაძის საქმე

გუშინ-წინ, 12 სექტემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ მოისმინა საქმე 2 გილდის ვაჭრის იოსებ ანდრ. ძის ქავთარაძისა, რომელსაც მევახშეობა და სხვის ქონების დასაკუთრება ჰბრალდებოდა. სასამართლოში საქმის განხილვის დროს თავმჯდომარედ სასამართლოს წევრი ბ-ნი ბოგაევსკი იყო, ბრალმდებელად ბრალმდებელის თანაშემწე რიბინი; დამნაშავეს ჰვექილობდა ნაფიცის ვექილის თანაშემწე კლანსკი.

საბრალმდებლო ოქმი ამ სიტყვებით არის დამთავრებული: იოსებ ქავთარაძეს ჰბრალდება ჯერ ერთი ის, რომ ლევან დუბელირისაგან 1890 წელს სესხის გირაოდ 300 მან. ღირებული სხვა-და-სხვა ნივთი აუღია და შემდეგ მიუთვისებია, ე. ი. ჩაუდენია სასჯელთა დებულების მე-1681 მუხლში მოხსენებული დანაშაული; 2) 1892 წლ. 1896 წლამდე ფულის სესხება დიდის სარგებლით ხელობად გაუხდია და თვეში მანეთზედ 10% უღია, ე. ი. მე 1707 მუხლში აღნიშნული დანაშაული ჩაუდენია, 3) რომ ამ ბოლოს წლებში, ვიდრე 1896 დამლევამდე, ნებადაურთველად სესხის გასაცემი კასსა ჰქონია, ე. ი. სასჯელთა დებულების მე-47 მუხლში აღნიშნული დანაშაული. როგორც საბრალმდებლო ოქმიდგანა სჩანს, მოსალოდნელ უსიამოვნებათა თავიდგან ასაცილებლად ქავთარაძეს შემდეგის საშუალებისათვის მიუმართავს: ყველა იმ ნივთების შესახებ, რომლებიც გირაოდ მიუღია, ბარათი ჩამოურთმევია დამგირავებლებისათვის, ვითომ აღნიშნული ნივთები საკუთრებად უყიდია ქავთარაძეს. ასე მოჰქცევია მაგალითად, დუბელირს და როდესაც ამ უკანასკნელს ულვთო სარგებელი ვეღარ გადაუხდია, ქავთარაძეს დუბელირის ქურქი გაუყიდნია.

ასეთი ბარათები ქავთარაძეს 500-ზედ მეტი აღმოსჩენია; ბარათები ყველა ერთნაირად ყოფილა შედგენილი და ცალიერი ადგილი ჰქონიათ დატოვებული, სადაც დაგირავებულ ნივთებისა და დამგირავებლების სახელი და ვინაობა თურმე იწერებოდა; გარდა ამისა, ქავთარაძეს აღმოაჩნდა ექვსი კიდევ სულ ახალი „ბლანკი“ ზემოდ დასახელებულ ბარათებისა.

თუ რომ დამგირავებელი დანიშნულს ვადაზედ % არ წარადგენდა, ქავთარაძე მაშინვე მთელის თვის სარგებელს თურმე ახდევინებდა, თუნდაც დამგირავებელს ერთის დღის მეტი არა ჰქონებოდა გადაცილებული, თუ არა და დაგირავებულს ნივთებს სრულიად არ უბრუნებდა. ერთის სიტყვით, როგორც მოწმებმა აჩვენეს, ქავთარაძე საზარელი, გულქვა და სასტიკი მოვახშე ყოფილა.

ბრალდებულმა პირველ-დასაწყისს გამოძიების დროს თავისი თავი დამნაშავედ არ იცნო და განაცხადა, რომ მოწმეების ჩვენებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ბარათები მიჰქირავს, რომ აღნიშნული ნივთები ნასყიდი მაქვს ისევე, როგორც დღესაც ვყიდულობ გარეშე კაცთაგან სხვა-და-სხვა ნივთსაო.

ამ საქმისა გამო 16 მოწმე იყო გამოწვეული. ამათგან 9 კაცი სასამართლოში არ გამოცხადდა. თანახმად ორთავე მხარის თანხმობისა, სასამართლომ შესაძლებლადა სცნო საქმე განეხილა.

ბრალდებული დანაშაულს კიდევ არ აღიარებს.

მოწმეთა ჩვენებამ საბრალდებლო განაჩენში აღნიშნული დანაშაულობა ნათლად დაამტკიცა და ყველას თვალწინ დაიხატა, თუ ქავთარაძე რა მოურიდებელი და საზიზღარი მოვახშე ყოფილა. როგორც პოლიციის ნაწილის ზედამხედველად ნამყოფმა ბ-ნმა პავლოვმა უჩვენა სასამართლოს, ჩემს ნაწილში ქავთარაძეს ბევრი უჩიოდა, რომ იგი მეტად დიდს სარგებელს ახდევინებდა მოვალეებს და სარგებელს 10% მეტსაც იღებდა ხშირადაო. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, რომ ქავთარაძეს გირაო მიუთვისებია (ამას ჰმოწმობენ დუბელირი, მელიქ-ახნაზაროვი და სხ.) ზოგჯერ დამგირავებლები სასამართლოსაც მიჰმართავდნენ ხოლმე, მაგრამ ქავთარაძეს დანაშაული არ უმტკიცდებოდა, რადგანაც ხელში ნასყიდობის ბარათები ჰქონდა. მელიქ-ახნაზაროვმა აღიარა, რომ 20 მან. ღირებულს ნივთში, რომელიც ქავთარაძეს ჰქონდა დაგირავებული, ორის კვირის შემდეგ სარგებლად ჯერ 10 მან. თხოულობდა და მერე $7\frac{1}{2}$ მანეთზედ დადგაო.

საყურადღებოა ბრალდებულის უკანასკნელი სიტყვა: მეო, სთქვა ქავთარაძემ: გირაოში ფულს არასოდეს არ ვასესხებდი. ყველა მოწმენი ჩემზედ მდიდრები არიან, მაგრამ როდესაც ფული გაუჭირდებოდათ, მაშინ-კი მომმართავდნენ ხოლმე. მე იმათგან საქონელს, რასაკვირველია, ღირებულზედ ნაკლებ ფასად ვყიდულობდი და თან ვეუბნებოდი: თუ ამ ფასად საქონლის გასყიდვა სანანურადა გრჩებათ, შეგიძლიან 2—3 თვის შემდეგ ნივთი ისევ უკანვე დამიბრუნოთ, გამოისყიდოთ. მაშინ თითონ გამსყიდველები მეუბნებოდნენ: აი, ყოჩაღ, მერე რა უნდა მოგცეთ? „სარგებელს“ ჩემს მაღაზიაში ვერც-კი ვინ წარმოსთქვამდა და გაიგონებდა. ხოლო რაც შეეხება მოვახშეობას, იგი მე თითონ მძულსო!

ოლქის სასამართლომ ქავთარაძეს მევახშეობისა, ნება დაურთველად გამსესხებელ კასსის დაარსებისა და სხვის ნივთების დასაკუთრებისათვის (სასჯელი ამ უკანასკნელისათვის არა მიესაჯა რა, რადგანაც ვადა დასჯისა გადასული იყო), გარდაუწყვიტეს ყოველი პირადად და ქონებრივად კუთვნილი უფლებათა და უპირატესობათა ჩამორთმევა და ასტრახანის გუბერნიაში საცხოვრებლად გაგზავნა იმ პირობით, რომ იმ ადგილიდგან, რომელსაც დაუნიშნავენ, ოთხის წლის განმავლობაში ფეხი არ მოიცვალოს. სამოქალაქო სარჩელი 240 მან. დაკმაყოფილებული იქმნას.

ამ გარდაწყვეტილების წაკითხვის შემდეგ იოსებ ქავთარაძე იქავე დაპატიმრებულ იქმნა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

12 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** უმაღლესად ნაბრძანებია შემდგარ იქმნას მე—53 ახალ არხანგელის და მე—54 ახალმირგოროდის დრაგუნის ჯარები.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. ახალი სესსია გახსნა გრაფმა ბადენმა, რომელსაც შენერერის დასი „hoch“-ის ძახილით მიეგება. მინისტრ-პრეზიდენტმა წინადადება მისცა დეპუტატს ცურკაპს, რომ მან, როგორც უხუცესმა წევრმა პალატისამ, თავ-მჯდომარეობა იკისროს. ცურკაპმა მიჰმართა პალატას სიტყვით, რომელსაც

ადგილ ადგილ ოპოზიციის ხმა-მაღლა ყვირილი არღვევდა და რომელიც შეიცავდა თხოვნას, რომ თანხმობა იყოს ® უნაყოფო კამათი მოისპოსო. სიტყვა დასრულდა იმპერატორის მიმართ „hoch“-ის ძახილით, რომელიც სამჯერ იქმნა განმეორებული პალატის მიერ. შენერერმა შესძახა „hoch“ გერმანელთ და მემარცხენეთ აღტაცებით განიმეორეს. დიდი ყვირილი გამოიწვია გრიგორიჩის სიტყვამ იმის შესახებ, ვითომ 16 პოლიციელი, მოსამსახურის ტანისამოსში გამოწყობილი, იყოს პალატაში. ატყდა ხანგრძლივი ხმაურობა, რომელიც ერთის მხრით ბადენსაც შეეხებოდა. ამ დროს თავმჯდომარე პრეზიდენტის ამორჩევას შეუდგა და კანდიდატების დასახელება დაიწყო, მაგრამ ხმაურობა მაინც არ შესწყდა. მარცხენა მხრიდგან საშინელი ხმაურობა გაისმა, გერმანელთა დეპუტატები და ახალგაზდა ჩეხები ერთმანეთს შეებნენ. დეპუტატთა პალატამ 203 ხმის უმეტესობით 9 ხმის წინაალმდეგ პრეზიდენტად აირჩია პრეზიდენტად ნამყოფი კატრეინი; ოპოზიციამ განაცხადა, კენჭის ყრაში მონაწილებას არ მივიღებო. მემარჯვენენი დიდის აღტაცებით მიეგებნენ კატრეინს, თუმცა შენერერის დასი უთავბოლო ყვირილით წამ და-უწუმ აწყვეტინებდა კატრეინს სიტყვას. პრეზიდენტმა ბოლოს იმპერატორის მიმართ „hoch“-ი წარმოსთქვა, რომელიც პალატამ სამჯერ განიმეორა. გერმანელთა ოპოზიციამ წინაალმდეგობა განაცხადა იმის გამო, რომ კატრეინი იქმნა ამორჩეული და წინადადება შეიტანა კრების გაუქმების შესახებ, რაიცა უარ-ყოფილ იქმნა 197 ხმით წინაალმდეგ 103 ხმისა. შემდეგ ხელახლად იქმნენ ამორჩეულნი ვიცე პრეზიდენტი ბრაგამოვიჩი და კრამატი.

**ზაგრები.** სენიჩაკში, სადაც მცხოვრებელთ მართლ-მადიდებელნი სერბიელნი შეადგენენ, უწესოება მოხდა იმის გამო, რომ ხმა გავრცელდა, ვითომც ყველანი მადიარებად და კათოლიკებად უნდა დახდეთო. სამი მოხელე ფოცხით იქმნა მოკლული. პერნში მცხოვრებელთ დაუწყეს სროლა ჟანდარმებს, რომელთაც თავისის მხრივ პასუხი გასცეს. მეამბოხეთა წინამძღოლი მოკლულ იქმნა. შესაფერი ღონისძიებაა ნაღონი მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა ასწია დისკონტი 2-დგან $2^1/_2\%$ მდე.

13 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: სახელმწიფო საბჭოს სტატს სეკრეტარის თანაშემწეს ებრძა იქმნეს სახელმწიფო საბჭოს სტატს სეკრეტარის თანამდებობის აღმასრულებლად.

გარეშე საქმეთა მინისტრი საზღვარ გარეთ მიდის. სამინისტროს იმის იქ მყოფობის დროს განაგებს გრაფი ლამზდორფი.

**ხაბაროვსკი.** 7 სექტემბერს გარდაიცვალა ყოვლად სამღვდელო მაკარი, კამჩატკის ეკურლიანდის და ბლაგოვეშჩენის ეპისკოპოსი.

**ბომბეი.** როგორც უკანასკნელი ცნობებიდგანა სჩანს შავი ჭირი თანდა-თან უფრო ვრცელდება.

**ლონდონი.** „ტაიმ.“ დეპეშით ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდგავ: „სულთას ძალიან ეშინიან, რომ თესალიის განთავისუფლებამ ჯარისკაცთა ფანატიზმი არ გამოიწვიოს“.

**კონსტანტინეპოლი.** ავადმყოფთა რიცხვი თესალიის ჯარში თანდა თან მრავლდება. უფრო ძალიან სახადია გავრცელებული. აქამდის 6,000 ჯარის-კაცი გაგზავნეს სამშობლოში, მალე 4,000 გაგზავნიან.

**პალერმო.** კასტელტერმინში მიწის ზვავმა მაღაროში მომუშავე მუშები მოიტანა ქვეშ. ჯერ-ჯერობით იპოვნეს სამი მკვდარი კაცის გვამი და სამიც დაჭრილი კაცი. ჰფიქრობენ, რომ 35 კაცია დაღუპილიო.

## განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკი ამითი აცხადებს, რომ ქვემო დასახელებულ მემამულეთა უძრავი მამულები, ბანკის მიერ გირაოდ მიღებული, ბანკის წესდების მე-14 მუხლის ძალით, დაინიშნება საჯაროდ გასასყიდად, იმავე ბანკის წესდების მიერ დადგენილ გადასახადის შეუტანლობისა გამო. გაყიდვის გადადება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს გარდასახადი შეტანილი იქმნება.

ქალაქის მამულები:

**დოლუხანოვებისა**, ამბარცუმ რომანის ძისა, ალექსანდრე და ნიკოლოოზ ამბარცუმის ძეთა, **ხანდამიროვისა**, სოფიო ამბარცუმის ასულისა და **ნანაჩოვისა**, ანნა ამბარცუმის ასულისა: 2 ორ-სართულიანი სახლი სარდაფებით და ერთ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით, მიწა ზომით 125 ოთხ-კუთხ. საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, ქ. ტფილისის მე-5 ნაწილში, კათოლიკეთა და მოქალაქეთა (მეშჩანსკაია) ქუჩებზედ.

**გასვახიშვილისა**, ზაქარია ივანეს ძისა: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით, ორ-სართულიანი კოშკი, ერთსართულიანი ფლიგელი და შენობა, მიწა ზომით, 1,800 ოთხ-კუთხი საჟ. ქალ. თელავში.

**გასვახიშვილისა**, დიმიტრი ზაალის ძისა: ორ-სართულიანი სახლი, ორ-სართულიანის ნაწილით, ერთ სართულიანი ფლიგელი სარდაფით, მიწა ზომით 1 დეს. 860 ოთხ-კუთხი საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება, ქ. თელავში.

**გასვახიშვილი**, გიორგი სულხანის ძე: ორ-სართულიანი სახლი, ორ-სართულიანი კოშკი, ერთ-სართულიანი მიშენებული და საეზოვო შენობანი, მიწა ზომით 1730 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თელავში.

**ჩერქეზიშვილისა**, დარია ალექსანდრეს ასული და **გასვახიშვილები** ეკატერინე და თამარი ალექსანდრეს ასულნი: ერთ-სართულიანი სახლი, მარანი, ამბარი და საჯინიბო, მიწა ზომით 570 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება ქ. თელავში.

**ზუბიევისა**, გაბრიელ იოსების ძისა: ორ-სართულიანი სახლი, ასეთივე ფლიგელი, მიწა ზომით 113 საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, ქ. გორში მეფის ქუჩაზედ.

**მელიქოვისა**, ელისაბედ არტემის ასულისა: ორ-სართულიანი სახლი და ასეთივე ფლიგელი, მიწა ზომით 80 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისის მე-9 ნაწილში წყლის პირის ქუჩაზედ, მიხეილის ხიდის მახლობლად.

სოფლის მამულები:

ა) რომელზედაც გაცემულია ხანგრძლივი სესხი.

**ქობულაშვილებისა**: სოლომონ, იოსებ და ზაქარია ადამის ძეთ: სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე; მიწა ზომით 823 დეს. 1,200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ. თელვის მაზ. სოფ. კონდოლში.

**ჯანდიერისა**, ლევან გიორგის ძისა (ვაჭრობით შეძენილი ავალიშვილის დავით ივანეს ძის მიერ): სახნავი მიწები; ზომით 35 დეს., ტფ. გუბ. სიღნაღის მაზ. სოფ. ჩუმლაყში.

**თარხან-მოურავებისა**, არჩილ ლევანის ძისა და ივანე ბესარიონის ძისა: სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 86 დეს. 140 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., გორის მაზ. სოფ. გომის-ჯვარში.

**ერისთავისა**, იასონ გიორგის ძისა: სახნავი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 131 დეს. 1980 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზრის აგარაკ ქისტაურსა და ბოსტანაში. სოფ. ალბაათან.

**ჯორჯაძისა**, ივანე გიორგის ძისა: სახნავი, საძოვარი მიწები, ტყე და ბაღები, მიწა ზომით: დაფასების აქტით 414 დეს. 200 ოთხ-კუთ. საჟ., ხოლო გირავნობის მოწობით 420 დეს. 200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ. სიღნაღის მაზ., აგარ. გურჯაანსა, ბარემ-კარსა და ქაიბანში.

**ფარესაშვილისა**, დავით ბარამის ძისა: სამოსახლო, საბაღე ადგილები და ტყე, მიწა ზომით 23 დეს. 795 ოთხ-კუთ. საჟ., ტფილ. გუბ., დუშეთის მაზ., სოფ. ჰილურთში.

**გასვახიშვილებისა**, ალექსანდრე, დავით და სიმონ რევაზის ძეთა: სახნავი, საძოვარი, საბაღე ადგილები და ტყე, მიწა ზომით 986 დეს., 500 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., აგარ. შილდასა და ჰალთის მინდორში.

**წინამძღვარიშვილისა**, ნიკოლოზ ტროფიმეს ძისა. სახნავი, სამოსახლე და საბაღე ადგილები, ბაღები და ტყე, მიწა ზომით 43 დეს, 1610 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., გორის მაზრ., აგარ. წრომში.

**გასვახიშვილისა**, რევაზ ზაალის ძისა: სახნავი, საძოვარი, სათიბი, სამოსახლო ადგილები, ბაღები და ტყე. მიწა ზომით 213 დეს., 1930 ოთხ კუთ. საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება ტფილ. გუბ., თელავის მაზ., აგარ. ლალის-ყურსა და კურდღელაურსა.

**ჯორჯაძისა**, ივანე გიორგის ძისა: სახნავი, საძოვარი, სამოსახლო ადგილები, ტყე და ბაღი, მიწა ზომით 273 დეს., 2272 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., სიღნაღის მაზ. აგარ. გურჯაანში და ბარემკაში.

**ამირაჯიბისა**, ლევან კონსტანტინეს ძისა: სახნავი, საძოვარი, სამოსახლო ადგილები და ტყე, მიწა ზომით 807 დეს. 970 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., გორის მაზ., აგარ. ულუმბიაში.

**გასვახიშვილისა**, გიორგი სულხანის ძისა: სახნავი, საძოვარი და საბაღე ადგილები, მიწა ზომით 87 დეს. 1200 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., აგარ. კურდღელაურში.

**გასვახიშვილისა**, გიორგი სულხანის ძისა: სახნავი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 47 დეს. 1500 ოთხ-კუთ. საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., სოფ. კურდღელაურთან.

**გასვახიშვილისა**, გიორგი სულხანის ძისა: სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 101 დეს. 1660 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფ. გუბ., თელავის მაზ., აგარ. ლალის-ყურში.

**ანდრონიკაშვილის**, ალექსანდრე გიორგის ძისა: სათიბი და საძოვარი ადგილი, მიწა ზომით 174 დეს. 970 ოთხ-კუთხ. საჟ., ტფილ. გუბ., სიღნაღის მაზ., აგარ. ზიარის-ბოლოში.

**ყარალაშვილისა**, არჩილ ივანეს ძისა: სახნავი, საბაღე ადგილები და ტყე, მიწა ზომით 128 დეს. 1490 ოთხ-კუთ. საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., აგარ. არტაანში.

**ყარალაშვილისა**, რევაზ მიხეილის ძისა და **მაყაშვილისა**, ბარბარე მიხეილის ასულისა: სახნავი, საძოვარი, საბაღე ადგილები და ტყე, მიწა ზომით 120 დეს., 640 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილ. გუბ., თელავის მაზ., აგარ. არტაანში.

**ჩერქეზიშვილისა**, დარია ალექსანდრეს ასულისა და **გასვახიშვილებისა**, თამარა და ეკატერინე ალექსანდრეს ასულებისა: სახნავი, საძოვარი ადგილები და ბაღები. მიწა ზომით 114 დეს. 1490 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., აგარ. კურდღელაურში.

**თარხან-მოურავისა**, გიორგი, ალექსანდრე, ილია და ნიკოლოოზ (იგივე კონსტანტინე), ივანეს ძეთა და ნინო ივანეს ასულისა, **მაღალაშვილისა** ანნა ივანეს ასულისა და **გეზელისა** ალექსანდრა ივანეს ასულისა: სახნავი, სათიბი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 488 დეს. 220 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილ. გუბ., გორის მაზ., სოფ. სათარხნო. მამულში.

**მუხრან-ბატონთა**, გიორგი და კონსტანტინე ალექსანდრეს ძეთა: სახნავი და საძოვარი ადგილები, მიწა ზომით 16 დეს. 1100 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილ. გუბ., დუშეთის მაზ., აგარ. ქსოვრისში.

**ქობულაშვილებისა**, იოსებ და სოლომონ ადამის ძეთა და მარიამ ზაქარიას ასულისა: საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 1736 დეს. 2110 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., სოფ. კისისხევთან.

**ვასვახიშვილისა**, ნინო დავითის ასულისა: ტყე; ზომით 38 დეს. 900 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., თელავის სატყეო აგარაკში.

**გასვახიშვილისა**, დიმიტრი ზაალის ძისა: სახნავი, საძოვარი, სამოსახლო ადგილები, ბაღები და ტყე, მიწა ზომით 100 დეს. 1880 ოთხ-კუთხ. საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, ტფილ. გუბ., თელავის მაზ., აგარ. კურდღელაურში.

ბ) რომელზედაც გაცემულია ხან-მოკლე ვადიანი სესხი:

**ავალიშვილისა**, დავით ივანეს ძისა: ვენახი, მიწა ზომით 4 დეს. ტფილისის გუბ., სიღნაღის მაზ., სოფ. ჩუმლაყთან.

**ჯორჯაძეებისა**, მიხეილ ნოდარის ძისა და კონსტანტინე სოლომონის ძისა: ვენახი, მიწა ზომით 3 დეს. 2160 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., სოფ. საბუეში.

**დოლიძისკისა**, იოსებ კლემენტის ძისა: ვენახები, მიწა ზომით 2 დეს. 2380 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ. და მაზ., სოფ. ბორბალოში.

**აბაშიძისა**, ალექსანდრე დიმიტრის ძისა (ვაჭრობით შეძენილი ამალია ოსების ასულის აბაშიძის მიერ) ვენახი, მიწა ზომით 2 დეს. 1800 ორთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., სიღნაღის მაზ., სოფ. გურჯაანში.

**აბხაზისა**, თინათინა ივანეს ასულისა: ვენახი, სამოსახლო ადგილები და შენობანი, მიწა ზომით 4 დეს. 527 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., სოფ. ძველ-გავაზთან.

**რუსიევისა**, ალექსანდრე თამაზის ძისა: ვენახი, მიწა ზომით $2^3/_4$ დეს., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, ტფილ. გუბ., თელავის მაზრის, აგარ. კურდღელაურში.

**ჯორჯაძისა**, ნოდარ მიხეილის ძისა: საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 179 დეს. 1555 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ., თელავის მაზ., სოფ. საბუეში.

**ჯანდიერისა**, სალომე სიმონის ასულისა: 2 ვენახი, მიწა ზომით 6 დეს. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., სოფ. ვაჩნაძიანში.

**აბაშიძისა**, ივანე დიმიტრის ძისა: (ვაჭრობით შეძენილი ამალია იოსების ასულის აბაშიძის მიერ) ვენახი, მიწა ზომით 2 დეს. 1800 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., სიღნაღის მაზ., სოფ. გურჯაანთან.

**აბხაზისა**, კონსტანტინე ნიკოლოოზის ძისა: ვენახი და სამოსახლო ადგილები, მიწა ზომით 5 დეს, 50 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილ. გუბ., სიღნაღის მაზ., აგარ. კარდანახში.

**ჩერქეზიშვილისა**, დარია ალექსანდრეს ასულისა, **აბაშიძისა** თამარ, ალექსანდრეს ასულისა და **გასვახიშვილისა** ეკატერინე ალექსანდრეს ასულისა: სახნავი, საძოვარი ადგილები და ბაღი, მიწა ზომით 7 დეს. 390 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., აგარ. კურდღელაურში.

**ჯანდიერისა**, ვლადიმერ ივანეს ძისა: ვენახი, მიწა ზომით 3 დეს. 1100 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., სოფ. ვაჩნაძიანში.

(1—6.—1)


## იმლევა ქირით

ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის სახლში, № 21.

შუა სართულში **ათი ოთახი**, წყლით, საბანებელით და სხვა მოწყობილობებით და ზემო სართულში **ხუთი ოთახი** თავისის მოწყობილობებით.

10—6

**სასწავლებელი და პანსიონი**

კოლეჟსკი ასესორის ივ. ზ. ტერ-სტეფანოვისა ამზადებს გიმნაზიებისა და სხვა სასწავლებლებისათვის და ასწავლის აგრეთვე ბუჰგალტერიას. ფასი თვეში 5 მანათიდგან, სწავლის პონსიონში 15 მანეთიდგან. ბუჰგალტერიის კურსი 25 მანეთიდგან. ვარანცოვის ძეგლთან, ელისაბედის ქუჩა, № 30.

(10—157—10)


Дозволено цензурою, Тифлисъ 13-го Сентября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.